

სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტატუსშეჩერებული სტუდენტი უფლებამოსილია აღიდგინოს სტატუსი სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში; სტატუსშეჩერებული სტუდენტი უფლებამოსილია საკუთარი განცხადების საფუძველზე მოითხოვოს სტუდენტის სტატუსის აღდგენა;
2. სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) უზრუნველყოს სტუდენტის სტატუსის აღდგენის რეგისტრაცია;
3. სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სემესტრის დაწყებიდან 4 კვირის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატუსის აღდგენაზე მომართვის შემთხვევაში, სტატუსი აღდგება მომდევნო სემესტრიდან;
4. სალექციო პერიოდის დაწყების შემდეგ სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტი არ არის ვალდებული სტუდენტს აუნაზღაუროს გაცდენილი ლექციები ან/და შეფასების მისაღებად განხორციელებული აქტივობები;
5. სტატუსის აღდგენა ხდება შემდეგი პროცედურების დაცვით:
სკოლის დეკანი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების საფუძველზე განსაზღვრავს, რომელი სემესტრიდან უნდა გააგრძელოს სწავლა სტუდენტმა; საჭიროების შემთხვევაში დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.